ყველა შენ ქნილებას-კი უყვარს სინათლე და სხივები: ყველაფერი, რაც ცოცხლობს და სუნთქავს, რაც დადის და ფრინავს,—ყველაფერი, რაც იზრდება და ყვავის, რაც



მიმდინარეობს, თუ ჰგორავს, ტირის, თუ იცინის, ყველას და ყველაფერს სწყურია სინათლე და შუქი.

ღიაღია და მძიმე ჩემი საკმე: უნდა ჩავეშვა უფესკრულის ძირას, ჩავანათო უდაბურ ტყის გულში, ჩავიჭვრიტო კლდის ნაპრალებში, თვითო სხივი მაინც უნდა ჩავსტყორცნო ლომის მღვიმესა და მინდვრის თაგვის პაწია სოროშიაც.

ვინ აკოცებს გაზაფხულზე განთიადისას გაფურჩქენილ ენძელას, ვინ გაუღიმებს ახალ ამოფეთილ ბალახს?

აი, იქ, შორს, მინდორში განმარტოებით გდია დახავსებული ლოდი, ვინ მიუაღწერსებს მას?

როგორც ზღვა წყლით არის სავსე და უდაბნო სილით, ისე შენი დედამიწა სავსეა სიციცხლით და სიციცხლე სწყურია ყველას.— მე არ შემწევეს ძალ-ღონე გავანათო მთელი ქვეყანა!

ჩემ ფერ-მკრთალ დას—ღამის მეფე—მთვარეს შენ გაუჩინე მრავლის-უმრავლესი თანაშემწე და როდესაც მშუქარებით დაღლილი ის დაეშვება ცის სპეტაკ ღრუბლების ზვავებში დასასვენებლად, მაშინ დედამიწას ანათებენ პაწია ვარსკვლავები, რომლებიც უმანკო ბავშვების თვალებივით გადმოიციქირებიან ზეციდან.

ასე ჩიოდა მზე... და ღმერთმა შეისმინა იმის ლაღადი.

იმ ღამეს მზის საშველად დედამიწაზე სამი ახალი სიციცხლე აინთო—დაიბადა სამი ბავშვი: პირველი მხატვარი, პირველი მუსიკოსი და პირველი მგოსანი...

თარგ. 6.





ვლად. ალექსი—მესხიშვილი.



ართულ სამუდამო სცენას დაბადებიდან-ვე (1873 წელს, 1 ენკენ.) მრავალი დაბრკოლება ეღობებოდა წინ: ხან ნიეთიერი ხელ-მოკლეობა, ხან დასის აწეწ-დაწეწვა, ხან პიესების შემოკლება. საბედნიეროდ უნდა შევნიშნოთ, რომ ამგვარ ქარტეხილებს არ გაუტეხნია ჩვენ მსახიობთა გული და მათ საღმრთო მსხვერპლს უნდა მიეწეროს, რომ დღეს მათი შრომის ნაყოფით ვსტკებებით. მართლაც დიდია

მსხვერპლი იმათის მხრით.

ახალგაზდა მსახიობთა გაწვრთნა, რეპერტუარის შეხამება, ახალ-ახალი პიესების მუყაითი თარგმნა—ყველა ეს ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს მაშინ, როდესაც უსაღსრო ხართ და სულ ახლად იწყებთ საქმეს. მაგრამ, თუ ამას დასძლიეს, დასძლიეს იმიტომ, რომ ჩვენ პირველ მსახიობთ ჰქონდათ მოთმინების თილისმა და უზომო სიყვარული ხელოვნებისა. ერთ ასეთ მებრძოლად უნდა ჩაითვალოს ვლ. სარ. ალექსი-მესხიშვილი, რომლის სასცენო მოღვაწეობის 30 წელი ღირსეულად იდღესასწაულა ჩვენმა ერმა ათ თებერვალს, 1913 წელს.



ვლ. სარდიონის-ძე ალექსი-მესხიშვილი დაიბადა 16 თებერვალს, ქ. თბილისში. ეს უმცროსი შვილი იყო ოჯახში. დედა მისი, სოფიო ზურაბის ასული, ჩოლოყაშვილთა ოჯახიდან გახლდათ, ძველებურად აღზდილი, დარბაისელი მეოჯახე ქალი. მისი სიღამაზე ჩვენ საზოგადოებაში ყველამ იცოდა. მასთან სიმკვირცხლე, ცხენზე ჯდომა, თოფის სროლა, ერთი სიტყვით, სიცოცხლით აღსავსე ქალი იყო. ყველა ეს თვისებანი დედამ თავის ლაღას გადაულოცა, თუმცა პატარაობისას მეტად სუსტი აკებულობის ბავშვი იყო, ასე რომ ხშირად მის სიცოცხლეში ექვიცკი შეჭკონდათ.

ბავშვის აღზდაში დიდი როლი ითამაშა აგრეთვე მისმა მამამ—სარდიონ დიმიტრის-ძემ. ეს პირველი ადამიანი იყო, რომელმაც უმაღლესი სწავლა-განათლება მიიღო და სამშობლოში დაბრუნებისას სულ მოკლე ხანში სახელოვანი ექიმი გახდა. ამასთან იგი მოწინავე აზრების მიმდევარი ადამიანი გახლდათ და სულ იმაზე ფიქრობდა, რომ შვილებისთვის კარგი სწავლა განათლება მიეღებინებინა. ამ მიზნით მან შვილებს სამ-სამი გუვერნიორი და გუვერნანტი ქალი მიუჩინა აღსაზრდელად. იმაში ხელს უწყობდა როგორც ყოველ-დღიური შემოსავალი, ისე საგვარეულო მამული კახეთში, სოფელ რუის-პირში.

პატარა ლადო ჯერ ოთხის წლისაც არ იყო, რომ დედამას „კანონიჩის“ პანსიონში დაჰყავდათ, სადაც მისი ძმები იზრდებოდნენ. ერთხელ მან გადაჭრით უარი განუცხადა მამას შინ დაბრუნებაზე, ძმებთან დამტოვეო. მამა მისი უსრულებს სურვილს და ლადოც პანსიონში რჩება.

პანსიონის გამგე ქალს, და საზოგადოდ ყველას, ძლიერ შეუყვარდათ პიტარა ლადო. ყველა მის აღიერებაში იყო. მასთან თამაშობას არა სწყვეტდნენ, ხოლო, რაკი პანსიონში ფრანგული ენა იყო გამეფებული, ლადომაც ამ ენაზე დაიწყო ტიკტიკი და მით უფრო მეტად შეაყვარა ყველას თავი. მოწა-



ფეებს ფრანგული სამხედრო ტანსამოსი ეკვიათ. ლადოცხე
 ვე იყო მორთული. ერთხელ პანსიონის მფარველი დიდი მთა-
 ვარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე ეწვია ამ პანსიონს, ძალიან მოღ-
 წონა პატარა ლადო, დაუწყო ალერსი და უწოდა „პატარა
 მთავარი მედოლე.“ ამ პანსიონში ლადომ სამ თუ ოთხ წლამდის
 დაჰყო, ვიდრე მისმა მშობლებმა შემდეგ პასტორ ლეზენდორ-
 ფის ოჯახში არ გადაიყვანეს გერმანულ ენის შესათვისებლად

ამ ოჯახში არა-ნაკლები სიყვარულით გაუმასპინძლდნენ
 ლადოს, მაგრამ ახლა მას უფრო სერიოზულად ეჭირა თავი
 და არ კმაყოფილდებოდა გართობას, სეირნობას, სათამაშო
 ნივთების ყიდვას. იგი დადინჯდა, —მუდმივ ეკლესიაში სია-
 რულმა ღმობიერება შეასწავლა, გადაწყვეტილი ჰქონდა, თუ
 რომ მამის ხელობას ვერ ეღირსებოდა, მაშინ ეპისკოპო-
 სად გამწესებულყო. ეს მისი სათაყვანებელი იდეალი გახდა
 და პასტორიც აღფრთოვანებით შეჰყურებდა ლადოს მომა-
 ვალს.

ამგვარმა აღზრდამ ის ნაყოფი გამოიღო, რომ ლადოს
 სამშობლო ენა გადააიწყდა. არც თუ სურვილი ჰქონია მი-
 სი გახსენებისა, ან კი რად ეჭირებოდა, როდესაც ორს ენა
 ზე ფრანგულსა და გერმანულზე, უფრო უმჯობესად გამოსთ-
 ქვამდა თავის აზრს, ვიდრე ქართულად, რომელიც მისთვის
 ახლა უცხო ენის ადგილს იჭერდა. მაგრამ ამით არ გათავე-
 ბულა ლადოს გადაგვირება. სწორედ ამ დროს იგი დაობლდა.
 მისი აღზრდა-განვითარება იკისრა მისმა ბიძამ, რომელმაც
 მთელი ქონება თავის სახელზე დაიმტკიცა და ბავშვებსაც გო-
 ნის მოკრება აღარ დააცალა, ადრევე მიჰფანტ-მოჰფანტა,
 სხვათა შორის ლადოც რუსეთისკენ გაისტუმრა და კიევის
 კორპუსში მიაღებინა. ეს მით უფრო იყო ხელსაყრელი გაი-
 ძვერა მზრუნველისათვის რომ კორპუსში სწავლა-განათლებას
 უსასყიდლოდ აძლევდნენ. საბედნიეროდ, ლადო სამხედრო
 ფორმას ვერ შეეთვისა, რადგანაც მიზნად ჰქონდა ან ეჭი-



ში გამოსულიყო, ან ეპისკოპოსი. კორპუსს თავი გახმებდა, ჩაქვნიდა და მეოთხე კლასში იყო. ამ დროს ლაღო იქნებოდა სულ 13—14 წლისა. ბიძამ ეს აზბავი იწყინა და ლაღო სრულიად მოიშორა თავიდან.

კორპუსიდან გამოსვლის შემდეგ ლაღოს ცხოვრება მეტად უნუგეშო მდგომარეობას წარმოადგენდა. ვინ იცის, საქმე რითი გათავებოდა, რომ ბედზე დამხმარებელი არ აღმოჩენოდა; ეს გახლდათ ყოფილი პროფესორი ვინმე დობროდევევი, რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტიდან მოწინავე აზრების გამო დაეთხოვნათ. ვულშემატკივარმა პროფესორმა ობოლი ლაღო თავისთან წაიყვანა მოსკოვში, ცალკე მასწავლებელი დაუჭირა, კლასიკურ გიმნაზიის მოწმობა ააღებინა და უნივერსიტეტში შეიყვანა საექიმო ნაწილზე, რომელზედაც ლაღომ სამი წელი დაჰყო, ვიდრე ძარღვების სნეულება არ დასჩემდა. ექიმების რჩევით ლაღო სამშობლოში დაბრუნდა, თან მასწავლებლობის მოწმობა აიღო, რომ ცხოვრებასთან ბრძოლა შესძლებოდა...

სამშობლოში დაბრუნების დროს ლაღო გაიწვიეს სამხედრო ბეგრის მოსახდელად. საბედნიეროდ ექიმებმა ავადმყოფად იცნეს, ისე რომ სამხედრო უწყებაში სულ ორიოდ კვირა დაჰყო, ისიც საავადმყოფოში.

სამშობლოს ჰაერი მართლაც მკურნავ მალამოდ მოეცხო ლაღოს დასუსტებულ ნერვებს. მოკლე ხანში სავსებით განიკურნა მოსკოვიდან გამოყოფილი ავადმყოფობისაგან.

პირველი ცხოვრების წყარო—ჯერძო გაცვეთილების შოკი იყო. ჯერ კობიაშვილის პანსიონში, მასწავლებლადაა შემდეგ თელავის წმ. ნინოს სასწავლებელში, სადაც ანატომიას, ფიზიოლოგიას და ბუნების მეტყველებას ასწავლიდა. მაგრამ საშიოდ წლის შემდეგ ისევ თბილისს დაუბრუნდა.

ეს იყო 1881 წ., სწორედ იმ დროს, როდესაც რუსული დასი სწევოდა ქალაქს.

ლადოს ჯერ კიდევ სიყმაწვილეში ჰქონდა ერთგვარი თეატრალობის მისწრაფება. თავის მეგობარ გ. კონჭაძესთან ხშირად აწყობდა საბავშვო წარმოდგენებს. მოსკოვში სტუდენტობის დროს თამაშობდა, როგორც სცენის მოყვარე. ამასთანავე იგი კარგი მომღერალიც იყო, უფრო ჩინებული დეკლამატორი. სცენისადმი სიყვარულმა სძლია ლადოს და მან უველაფერი მიატოვა. ჩაეწერა რუსულ დასში, რომელიც ამ დროს თბილისის ძველ საბაზინო თეატრში ჰმართავდა წარმოდგენებს.

ეს მოხდა 1881 წელს. მაშინ ლადო, 24 წლისა იყო.

რუსულმა დასმა სიხარულით მიიღო იგი და უმთავრესი როლიც დააქისრა, როდესაც საქველ-მოქმედო მიზნით წარმოადგინეს ჩერნიშევსკის ცნობილი პიესა „წამხდარი ცხოვრება.“ ლადო ასრულებდა კურჩაევის როლს. პირველ რიგში ისხდნენ ჩვენი ცნობილი მწერალნი და მოღვაწენი: ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი და მიხეილ ბებუთაშვილი, რომელნიც ანტრაქტის დროს შევიდნენ კულისებში, ინახულეს ლადო და უსაყვედურეს, როგორი ქართველი ხარ, ყმაწვილო, როდესაც შენ სამშობლო სცენას გაურბიხარ და რუსულ სცენაზე თამაშობო. ლადომ მიზეზად ენის უკოდინარობა დაასახელა. მაგრამ ამან ვერ იხსნა პასუხის-მგებლობისაგან: — თქვენ სიტყვა მოგვეცით და ენას ჩვენ შეგასწავლით, — უთხრა დავით ერისთავმა, რომელმაც იწინასწარმეტყველა ლადოს მომავალი. როგორც იყო ლადო დაითათბირეს, თქვენის დახმარებით ვეცდები, რომ სიძნელეს ვძლიოო.

ლადოს პირველი გამოსვლა ქართულ სცენაზე მოხდა 10 ოქტ. 1881 წ., სახელდობრ ვასო აბაშიძისა და კოტე მესხის ანტრეპრიზის დროს. გამოიყვანეს ჯერ პიესაში „შეშლილია,“ რომელშიაც ასრულებდა ვილკენის როლს. რამდენად ძნელი უნდა ყოფილიყო ლადოს ქართულ სცენაზე გამოსვლა, ამას მაშინ დაეინახავთ, თუ გაეიხსენებთ, რომ ლა-



დას როლებს რუსული ასოებით უწერდნენ. მაგბრძნევიძე
 ყოველი დაბრკოლება გადალახა და ლადოს პირველ გამო-
 სვლისთანავე თან დაჰყვა ჩვენი საზოგადოების თანაგრძნობა
 და სიყვარული. შემდეგ გამოიყენეს იმავე „წამზდარ ცხოვრე-
 ბაში,“ რომელიც საგანგებოდ გადმოაკეთებინეს პ. უმიკაშვილს
 „დაქცეული ოჯახი“-ს სახელით. აქ-კი რთული როლი მიან-
 დეს ლადოს: თამაშობდა „თანდოს.“

ლადოს ქართულ სცენაზე გამოსვლას დიდი ყურადღება
 მიაქციეს იმ დროინდელს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, განსაკუ-
 თრებით „დროების“ ფურცლებზე აღნიშნეს მისი სასცენო ხე-
 ლოვნების ზედმიწევნით კოდნა, გრძნობიერი თამაში და ელემ-
 ეტრონული ხმა.

მაგრამ ყველაზე დიდად ლადომ „სამშობლოში“ გაითქვა
 სახელი. ჩვენშიც, როდესაც თეატრის სამუდამო სცენის სა-
 ძირკველი ჩაიყარა, ქართველთა გმირების გახსენებას მივაპყა-
 რით თვალი. პირველი ცდა დავით ერისთავმა მოახდინა. მან
 ფრანგული ენიდან გადმოაკეთა და ჩვენ წარსულ ცხოვრებას
 შეუწონა დრამა „სამშობლო.“ ეს პიესა კარგა ხანს ვერ დაე-
 დგათ, რადგანაც **ლევან ხიმშიაშვილის** განმსახიერებელი
 არავინ ჰყავდათ. დავით ერისთავმა ლადოში დაინახა თავის
 „სამშობლოს“ გმირი ლევანი და აი—ესეც სახელოვნად შეა-
 სრულებს მის ნდობას 1882 წ., 22 იანვარს. მაგრამ აქ სიტ-
 ყვა დაუთმოთ ჩვენ საყვარელ მწერალ ქალს, ეკატ. გაბაშვი-
 ლის „ტკბილ მოგონებას,“ როგორც ამ ახლო წარსულში
 გამოაქვეყნა. აი, მოკლედ ეს მოგონებაც: იმ დროსაო, ამ-
 ბობს ქ-ნი ეკ. გაბაშვილისა, ლადო სულ სხვა რამ იყო, და-
 უჯერებელი. აქ თქვენ წინ იდგა არა ის აქტიორი, რომელიც
 სკდილობდა ხოლმე ზეპირად დასწავლილი როლი ქართულ-
 რუსულის კილოთი გადაეცა ამზანავისათვის, არა,—ის იყო
 მშვენიერი ფაგაკი, ქართველ ძველებურ ტანისამოსით გამო-
 წყობილი, ქართულ ძვირფას აარადით შესხმული მეომარი,

რომელსაც სამშობლო უნდა დაეცვა მტრისაგან და რომელიც ამ დაცვის ასრულების ფიცს, მშვენიერის, უზაკველის, ყოველგვარ აქცენტს აცილებული ქართული ენით წარმოსთქვამდა.

დღესაც თვალწინ მიდგას ის სცენა, როდესაც ხიმშიაშვილი ზეციურის ხმით, რაინდულის გრაციით და შეუღარებელის გმირობით ეუბნება შაჰს სამსახურზე უარს, როდესაც ის თავის ქალის თხოვნით უბრუნებს წართმეულ ხმალს: „არა, ვერ მივიღებ... მე კარგად ვიცნობ ჩემს ხმალს, ის ამჯობინებს ჩემ გულში გადატრიალდეს, ვიდრე თავის მტერს ემსახუროს... მე და ჩემი ხმალი ქართველები ვართ, დიდებულო შახო!“ რა თავზედობა იყო, რა გამზედაობა ამ საქციელში! და რაგვარად იმოქმედა დროთა ბრუნვამ, დამუნჯებულ და ყოველგვარ საკუთარ აზრის უქონელ მაშინდელ ქართველობაზე!

მე მზად ვიყავ გადაემხტარიყავ ლოკიდგან და მუხლი მომეყარნა საოცნებო გმირის წინაშე. ასევე გრძნობდა უთუოდ მთელი საზოგადოება, რადგან ლევან ხიმშიაშვილის სიტყვებს უზომო და შეუკავებელ ოვაციით მიეგება. რამდენიმე წამი ხიმშიაშვილი — მესხიშვილი თავჩალუნული იდგა და მოწიწებით ელოდა ხალხის დამშვიდებას, რომ სალაპარაკო განეგრძო და კვლავ ყოველი თავისი ნაბიჯით, ყოველი თავისი გულიდან ამოხეთქილი ნათქვამით და გულამდე ჩამწდომი ხავერდოვანი ხმით დაეპყრო, დაემორჩილებინა მსმენელი.

მართალია, ბებუთოვს (მიხ. პეტ. ბებუთაშვილი რეჟისორად იყო მიწვეული) ჩინებულად გაეწრთვნა არტისტები, განათლებული და ბევრის მნახველი კაცის გემოვნებით დაედგა პიესა, მაგრამ რა იქნებოდა ხელოვნობით შეჭაბუდი ძღვენი, თუ რომ ბუნებით მოძღვრალი სიმდიდრე, ბუნებრივი მარგალიტი, ბუნებათ შექმნილი ხელოვანი მესხიშვილი არ შეხვედრებოდა!



ხელოვანმა მესხიშვილმა, თავისი ბუნებრივი ნიჭით დაჯიშულ რვილმა, ასახელა რეეისორი ბებუთოვი, ასახელა „სამშობლო,“ სამშობლოს გადმომკეთებელის სახელი უკვდავ ჰყო და ქართველი ხალხის გულში მკვიდრად დაბინადა.

„სამშობლოს“ პირველ წარმოდგენის მოგონების დროს არ შემოიძლიან არ აღენიშნო კიდევ ერთი დიდი მომენტი, რომელიც იშვიათ წამად უნდა ჩაითვალოს ქართველთა ცხოვრებაში. ეს ის მომენტი იყო, როდესაც მესამე მოქმედებაში მეტეხის დარბაზში საბრძოლველად განმზადებულნი გამირები დროშაზე სამშობლოსათვის თავის გაწირვის ფიცს სდებენ. საკვირველი იყო ეს წამი და სწორედ ასწაულ-მოქმედებად აღიბეჭდა მსმენელებზე. მთელი საზოგადოება, პარტერის წინა რიგიდან დაწყებული, გალერიის უკანასკნელ რიგამდე, ფეხზე იდგა და, სასოებით გამსჭვალული, მზად იყო მუხლი მოედრიკა ეროვნულ დროშის წინ, რომ თეატრი გაქედილი არ ყოფილიყო და მუხლის მოსადრეკი ადგილი ჰქონოდა.

ამისთანა წამები იშვიათია; მას არ ივიწყებს შთამომავლობა და მის მიმნიჭებელთ ათაყვანებს:“ (კლდე, № 7).

მართლაც, როდენად სათაყვანებელი უნდა იყვეს ადამიანი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში პირველად განკლილი წუთები ასეთი სიცხოველით გვექონდეს წარმოდგენილი და „ტკბილ მოგონებად“ ვსთვლიდეთ მის გახსენებას!

ლევან ხიმშიაშვილის განსახიერებამ მეტად ააფრთოვანა ჩვენი საზოგადოება. ისტორიულ დრამებს ედება კარი ჩვენს ცენსაზე. ნიჭი ახლა ამ დარგისაკენ არის მიპყრობილი. „სამშობლოს“ მოჰყვა კოტე მესხის „ანუკა ბატონიშვილი,“ „ბაგრატ დიდი,“ და სხვ. ყაზბეგის „ქეთევან წამებული,“ ა. ცაგარლის „ქართველი დედა,“ ილ. ქავეჭავაძის „დედა და შვილი,“ აკაკის „თამარ ცბიერი,“ „პატარა კაბი,“ შემდეგ აღსანიშნავია „ლევან ბატონიშვილი“ კ. ყიფიანისა, ვალ. გუნიას „და-ძმა,“ ხოლო ისტორიულ დრამების განვითარება დაგვირ-

გვინდა აღ. სუმბათაშვილის „ლალაჲით.“ ყველა ამ პიესებში უთამაშნია ლადოს და სანაქებოდაც დარჩენილა მისი შექმნილი ტიპები.

მაგრამ ლადოს ნიქის განვითარება მარტო ისტორიულ დრამების ნიადაგზე არ დამთავრებულა. ჯერ კიდევ 1883 წ. 15 თებერვალს ითამაშა „ჰამლეტი“ და აალაპარაკა როგორც ტურნალ-გაზეთობა, ისე მთელი ჩვენი საზოგადოება. სომეხთა ცნობილმა დრამატურგმა შირვან-ზადემ იუბილიარს მეტად საყურადღებო ამბავი გაახსენა მილოცვების დროს: „გახსოვთ, ამ ოცდახუთის წლის წინად თქვენ თამაშობდით ჰამლეტს. მე და ადამიანი ¹⁾, რომელიც თვით ურწმუნო კრიტიკოსთა-მიერ პირველ ჰამლეტად ითვლებოდა არა თუ ჩვენში, არამედ რუსეთშიაც და საზღვარ გარეთაც-კი, ლოჟაში ვისხედით და თქვენის თამაშით ვსტკებოდით. ანტრაქტის დროს მე შითხრა ადამიანმა, რომ თქვენ გაქვთ ბევრი რამ უძვირფასესი ღირსე-ბანი, რომელნიც დიად მოშავალს გიქადოდნენ. ჩემის თხოვ-ნით მან ეს სიტყვები კულისებში შემოსვლის დროს თქვენთან-აც გაიმეორა იმ სახით, როგორც ჩემთანა სთქვაო.“

ასეთი ავტორიტეტული მოწმობა დიდად საყურადღებოა ჩვენთვის. მართლაც, ლადო ამართლებს ადამიანის წინასწარ-მეტყველებას. ჰამლეტის შემდეგ ჩვენ ვხედავთ „ყაჩაღებს“, „ურჩიელ აკოსტას“, „ედმონდ-კინს“, „რობერტს“ (ავადმყოფი ხალხი), „რიჩარდ III“, „ოტელოს“, „რასპლ-ჯევს“ (კრე-ჩინსკის ქორწილი) და სხვა და სხვა.

1889 წელს ოთხი წლით ლადო გაემგზავრა რუსეთში და 1893 წლამდე არ დაბრუნებულა. სამშობლოში ჩამოსვლა ახალის ცოდნით აღჭურვაში გამოიხატა. ჩვენი თეატრის რე-პერტუარი სწრაფად იზრდება, თამაშობს როგორც აქ, თბი-

¹⁾ „ადამიანი“ სომეხთა არტისტის გვარაა.



ლისში, ისე საგასტროლოდ მიდის ქუთაისში. სადაც პატარა აზნაურობას სათავეში ჩასდგომოდა კოტე მესხი. მაგრამ როდესაც ამ უკანასკნელმა აზნაურობას თავი დაანება, ლადომ გაამხნევებელი წერილი მისწერა პატარა ჯგუფს და დახმარება აღუთქვა. ეს დაპირება მან ასრულა 1896 წელს და მთელი ათი წლის განმავლობაში რჩება იქ.

ქუთაისის ხანა ღირსშესანიშნავი ხანაა ჩვენი თეატრის განვითარებისა. თუნდა იმ მხრივ, რომ ბევრ ახალ პიესების დადგმის ვარდა ჩვენი სცენა გაიზრდა. ლადომ შექმნა ახალი ძალები, რომლითაც ახლა იგი მოგვწონს. ესენი არიან ქ. ნინო ჩხეიძე, ნინო დავითაშვილი, ჯავახიშვილი, მარო მდივანი და სხვები; ხოლო მამაკაცებისაგან: ზარდალიშვილი, შალიკაშვილი, იმედაშვილი, გვარამე და სხვები. მის ხელთ ქვეით გაიწვრთნენ ახალგაზდა რეჟისორები—მ. ქორელი, ალ. წუწუნავა, შ. დადიანი, ხოლო რუსეთში კიდევ ახლანდელი სახელოვანი რეჟისორი სამხატვრო თეატრისა ბ. ნი კონსტ. მარჯანიშვილი.

ყველა სიკეთეს, რაც-კი ლადოს ჩვენი სცენისთვის მიუძღვნია, უნდა დავუმატოთ მისი ლექტორობის ნიჭიც. ლადოს დიდიხნის სურვილი აუსრულდა: გასულ წელს, 5 ენკენის-თვიდან გაიხსნა ქართული დრამატული კურსები. ლადო მიმიკის შესახებ კითხულობს ლექციებს, სადაც ახალგაზდა მსმენელთ თავის ხანგრძლივ მუშაობისა და დაკვირვების ნაყოფს უშლის ფიანდახად.

რა თქმა უნდა, ერი, რომელსაც ასეთი მუშაკი შვილი ჰყავს, გულ-გრილად ვერ მოეპყრობოდა და მართლაც, ლადოს ჩვენმა ხალხმა არა ერთხელ და ორჯელ დაუმტკიცა თავისი სიყვარული. ერთხელ ავადმყოფობის დროს თავისი ხარჯით გაისტუმრა სამკურნალოდ. ხ-ლო მეორეჯერ, ხსენე-

ბულს 10 თებერვალს, ღირსეულად დაადგა დაფნის გვირგვინი. დამატყვევებელი იყო ეს სურათი: ვერცხლის თმით შემოსილი ჩვენი სცენის ქურუმი უაღრეს მადლობით აღესილიყო ჩვენი ერისადმი, ერი მას ქებას შეასხამდა. ხოლო გარსშემორტყმული ახალგაზდა სცენის მუშაკნი სიხარულის ცრემლებსა სძვნიდნენ თავიანთ მოძღვარს.

დ. კასრაძე.





საქართველო.

ჩემენანი და ჩვეულებანი.



ოველ ხალხს თავისებური წარმოდგენა აქვს საიქიოზე: ცხელ არაბეთის შვილს, თუ კეთილია, საიქიოს მოვლიან ჩრდილოვანი ქალაქები და ლამაზი ქალები „გურიები,“ ხოლო თუ ბოროტია, იქ იტანჯება ხაშშიან და შემწველ-ჯაჰანამაში.“ ყრულიან ქვეყნების ხალხები, რომელნიც ქონის უქმელად ვერ უძლებენ თავიანთ ქვეყნის სიცივეს, აცილებენ რა მკვდარს საიქიოს, თან აიმედებენ, იქ გასაძლომად გექნება ჩვენი საყვარელი საყვებაეი—ზღვის ძაღლის ქონიო.

ტურფა და მშვენიერ საქართველოს შვილი საიქიოს ჰყოფს ორ განყოფილებად: მშვენიერ და ყოვლისფრით შემკულ დიდ წალკოტად—სამოთხედ, საცა მართალნი საუკუნოდ ისუფევენ და ისიამოვნებენ და უდაბნოდ, ჯოჯოხეთად, საცა ცოდვილთათვის დულს კუპრი, იქით იწვის უშრეტელი ღველფი, აქეთ ღვას სიცხის აღმური, სხვაგან მათ დასაგესლად ირევიან ასპიტები, გველები და ჯოჯოხები. მოგვყავს საიქიოს ყოფა-მდგომარეობა ქართველთა წარმოდგენით:

მიველ და ვნახე
სამოთხის სახე,
ედეშსა გარე შემოფარე:

ოთხი წყარო დის,
 ოთხის მხრით მოდის,
 უოკელი არე
 მითი მოიწვევის.

სიზმრათა ვნახე ედემი
 აღმოსავლეთის თავშაო:
 არის მზე, არის მთოვარე,
 მრავალ ვარსკვლავი ცაშაო;

მივდივარ სანუკვარადა
 წმინდა ედემის ბღშაო;
 მიველ და ხეხილთ გადვხედე:
 ჩარიტებულა რიტშაო.

ზოგი მწიფს, ზოგი უვავდიობს,
 ზოგსა მკუხენი ასხია;
 ფშვის ვარდი, ია, შროშანი,
 ვეულა ედემს დანასხია.

ერთი რამ კუხრის ტბა არის
 აქედან მისეულშაო:
 ზედ წერილი ბეწვის ხიდი ძვეს,
 ვინ გადაზომავს თქალშაო!

მართაღნი მარდად გადიან,
 დაშკვიდრდებიან ბაღშაო,
 ცოდვიღნი ძირსა ცვივიან,
 იღუპებიან ტბაშაო.

ლექსის დასაწყისი მოწყობილია ბიბლიურ ჰანგზე. დაბადებაში ეკითხულობთ: *) „და დასხა ღმერთმან სამოთხე ედემისა

*) დაბად. 2, 8—15.



აღმოსავალით და დადვა მუნ კაცი, რომელი შექმნა, და აღ-
მოვეცენა ღმერთმან მერმე ქვეყანით ყოველი ხე შევნიერი-
ხილვად და კეთილი საქმელად და ხე ცხოვრებისა შორის სა-
მოთხესა და ხე იგი ცნობად კეთილისა და ბოროტისა, ხოლო
მდინარე გამოვალს ედემით მორწყვად საოთხისა მიერ. განი-
ყოფვის ოთხად თავად; სახელი ერთისა ფისონ. ესე არს, რო-
მელი გარე მოვლის ყოველსა ქვეყანასა ევილატისასა, მუნ,
სადა იგი არს ოქროჲ. ხოლო ოქრო მის ქვეყანისაჲ კეთილ-
მუნ არს ანთრაქი და ქვია იგი კაპოეტი. და სახელი მდინა-
რისა მეორისა - გეონ; ესე გარემოვლის ყოველსა ქვეყანასა-
ეთიოპიასა. და მდინარე მესამე ეიფრათი. ესე ვალს წინაშე
ასურეთისა. ხოლო მდინარე მეოთხე—ევფრათი. და მოიყვა-
ნა ღმერთმან კაცი, რომელი შექმნა, და დაადგინა იგი სამო-
თხესა მას საშვებელისასა საქმედ მისა და დაცვად.“

ებრაელთა წარმოდგენით ჯოჯოხეთსა და სამოთხეს შო-
რის დიდი ზრამია და მის გამო აქეთურები იქ ვერ გადადიან
და ვერც იქითურები აქეთო. ამიტომაც მდიდარს, რომელიც
ჯოჯოხეთში იტანჯებოდა, ზენაარი ხმა ეუბნებოდა: „შორის
ჩვენსა და შენსა დანახეთქი დიდი დამტკიცებულ არს, რათა
რომელთა უნდეს წიალ სვლად ამიერ თქვენდა, ვერ ხელეწი-
ფოს, არცა მაგიერ ჩვენდა წიალ მოსვლად.“ (ლუკა, 16, 26).

მომყავს კიდევ რაოდენიმე ცნობა ამავე საგნის შესახებ.

სენათა გადმოცემით*), საიქიო ვრცელი მინდორია, და-
ფარული მწვანე და მუდამ ნორჩი ბალახით. ზემოდან ცა ასა-
რქლია. აქვს ერთი კარი: სულების შესასვლელად სასუფეველ-
სა და ჯოჯოხეთს. მინდვრის შუაში სუფევს ქრისტე, რომლის
წინ გაშლილია სანოვაგით სავსე სუფრა (ტაბაკი). ანათებს
იქაურობას მზე, სადაც ქრისტეა, და მის გამოშრობებით-კი თან

*) თავისუფალი სენი, ივერია, 1888, №-ები 116 და 118.

და-თან ნათელი მკრთალდება. ქრისტეს წინ მდებარე ტაბაკს
შემოსხდომიან ცხონებულნი, ჰამა არ არის. ქრისტეც და
სხვებიც მარტო ხილვით, სანოვავის სუნით ძლებიან. ყველას
წინ ის საკმელ-სასმელია, რომელიც მის სულს ტაბლად შეს-
წირეს მისმა კოცხალმა კირისუფლებმა, ან რაც თვითონვე
დაიშხადა სააქაოს მყოფობისას. საკუთარის კერძის მიზიარ-
მოზიარება წესად არ არის. მკვდრები ლანდებს ჰგვანან, მაგ-
რამ ჩაცნა-დახურვა-კი იციან. ქალსა და კაცს ის აცვია, რაც
ეცვა სააქაოს ანუ რასაც მას უკურთხებენ კირისუფალ-
ნი. ორი წყვილი საცმელი მაინც საჭიროა საიქიოვლთათვის.
სანეტარო სასუფეველს იქით, მოშორებით, ერთი კუნჭულია,
წყვედიადით მოკული. აქ ფისის ტბაა. ეს არის გარესკნელი
კოდვილთა და წაწყმედილთა სამყოფად. სიბნელისაგან აქაუ-
რები ვერ ხედვენ ვერც ქრისტეს, ვერც ტაბაკს, ვერც ერთ-
მანეთს. ფისის ტბაში იტანჯებიან მირონის გამტეხნი; კაცის
მკვლელს იქ მარად დასდევს მოკლულის სული, დაჰბლავის
და მოსვენებას არ აძლევს. საზღვრის გამპრუდებელი იქ მიწით-
სავეს გოდორს დაარბენინებს და სხვა სულელები ჯობს ურტყა-
შენ მის გოდორს. სულელები ერთმანეთს იცნობენ: ჰმარი—
კოლს, დედა—შვილს, ნათესავი — ნათესავს. თვის ახლად
გარდაცვალებული ნათესავის სულს იგინი მიასვენებენ საიქი-
ოს. სული ითხოვს კოცხალ ნათესავთაგან ბლომა ტაბლებს,
რომ არ გაუჭირდეს საიქიოს და არ შერცხვეს სხვებთან. ამი-
ტომ მათთვის არა მზრუნავ ნათესავებს უწყრებიან და სჯიან
კიდევ სხვა-და-სხვა უბედურების მოვლენით. სულელებმა მოსვლა
(=ადგომა) იციან ნ იანვარს. ნათესავები უმზადებენ უხვად
საკმელებს. ნ-ის შემდეგ ორშაბათს იგინი მიდიან. ამ დღეს
უფრო მეტი საზრდო — საკმელი მზადდება მათთვის. ამასთანა-
ვე საჭიროა მათი დატკობა სასიამოვნო ზღაპრებით და კვი
ყოფა-ქცევით. სვანიც ასე იქცევა. ვინც არ ანუ ვერ ასია-
მოვნა თავის მკვდარს, ის უკანასკნელი იქ სულთა ყრილობას


უამბობს და ეს ყრილობა გადასწყვეტს მის დასჯას. ამიტომაც რომ ერთი მკვდარიც არ დაბრუნდეს გულ-ნაკლული, უველანი ერთმანეთს ეწევიან, ერთმანეთს სთხოვენ, არ დააფიწყდეთ მკვდართათვის ტაბლის გამართვა: მკვდრის რისხვა ევლინება არა თუ მართო მის მახლობელ ნათესავს, არამედ ამ ნათესავის მეზობლებსაც და მათგან ხეობასაც. თუ მკვდარი ამოწყდა კვალ-წმინდად, მთელი სოფელი მოვალეა იზრუნოს მის სულისთვის. ამიტომაც სვანისთვის უძეოდ დარჩენა დიდი უბედურებაა: მის სულისთვის ტაბლის დამდგმელი არ ეყოლება, ხოლო ქალიშვილი თუმც მოიხსენიებს მას, მაგრამ ბოლოს, თავის ოჯახის მიცვალებულთა ხსენების შემდეგ და მაშინაც დაჟმატებს პირობას: „ჩვენო მიცვალებულნო, თუ რამე გემეტებოდეთ, ჩემებსაც უწილადეთ თქვენი საკურთხიდანო.“

• მიცვალებულის დატირებისას სვანი მიჰმართავს ხოლმე „საიქიოდან მოსულ სულებს“ და, თითქოს თვალით ჰხედავსო, ეუბნება: „რა იქნებოდა, ჩვენთვის დაგეტოვებინათ ეს (ახლად გარდაცვალებული). როცა იქნებოდა, ხომ მაინც თქვენთან უნდა მოსულიყო და განა ვერ მოესწრებოდით ამის ნახვას! თუ თქვენ გინდათ ამის ნახვა, განა ჩვენ-კი ერთი ათად უფრო არ უნდა ვწუხდეთ, რომ გვტოვებს?.. რაკი თქვენი არ მოიშალეთ, იქ მაინც ნურაფერს გაუჭირებთ, თორემ როცა ჩვენც მანდ მოვალთ, უსიამოვნება მოგვივაო.“

სვანური ფიცი: „თუ ეს (საბაასო-საცილობელი) ასე არ იყოს, ჩემის სიხარულის (მიცვალებულის) შეყრამც მომსპობია!“

მ. ჯანაშვილი.

(შემდეგი იქნება) -





არჩილ ჯორჯაძე.



თელ საქართველოს მოეფინა სამწუხარო ამბავი: გადაიკვალა ნიჭიერი ახალგაზდა ქართველი მწერალი არჩილ ჯორჯაძე. მრავალმხრივ შესანიშნავია ამ არაჩვეულებრივი ადამიანის ცხოვრება. ვინც ღრმად და დინჯად დაუკვირდება ამ ცხოვრებას, ნათლად შეიგნებს, რომ ადამიანი საკუთარი კეთილდღეობის მოსაპოვებლად,

პირადი ბედნიერების დასამკვიდრებლად არ ყოფილა გაჩენილი ამ სოფლად.

ბავშვობიდან უბედურება უბედურებაზე სდევდა ჩვენ ძვირფასს არჩილს: გადაეცვალა დედ-მამა და ქუთაისის ახლოს, მოწაშეთას, წყალ-წითელაში ბანაობის დროს დაიღრჩო ორი იმისი საყვარელი და; თვით არჩილს მის ხელში ვავარდნილმა დამბაჩამ მარცხენა ხელი მოსწყვიტა.

ვინც პირადად იცნობდა არჩილს, დაჰკვირვებია იმის ღამაზე, ვაგაკურ სახეს, ნათლად შეამჩნევდა მწარე ცხოვრებისაგან დაჩნეულ სევდიან გამომეტყველებას. მაგრამ საკმაო იყო იმის თვალეზში შეგეხდნათ, რათა იმ წამსვე გეგრძნოთ, რომ განვლილმა ცხოვრებამ ვერ დაჩაგრა, ვერ დათრგუნა მისი ძლიე-

რი სული, რომლის მზიბლავი შუქი ცოცხლად გამოჰქრობდა ამ თვალებიდან.

განვლილმა უბედურებამ ღრმად დააფიქრა ცოცხალი, ნიკიერი ახალგაზრდა ადამიანი. იგი შეუდგა იმის ძიებას, თუ რისგან წარმოსდგება ყოველნაირი უბედურება კაცთა შორის, დაეწაფა უდიდეს მწერალთა ნაწერებს. და პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტად ყოფნის დროს გაეცნო რუსეთის მოწინავე მწერლებს, რომლებმაც შეატყვეს ამ არაჩვეულებრივ ახალგაზრდას, რომ იმის სულს ჭეშმარიტების ძიება სწყუროდა, თავის წრეში შეიყვანეს ამ მწერლებმა, მასთან კეთილი ურთიერთობა ჰქონდათ.

შემდეგ არჩილი საზღვარ გარედ გაემგზავრა. ინგლისში ერთ ახალშენში ცხოვრობდა, სადაც განათლებული კაცები ერთად ცხოვრობდნენ და მძიმე სოფელურ მუშაობას საერთოდ ეწეოდნენ. იმათ არ ჰქონდათ და არ სცნობდნენ პირად საკუთრებას: მიწა, შენობები და იარაღი—ყველაფერი მათ საერთო საკუთრებად იყო გამოცხადებული. დაკვირვებით შეისწავლა არჩილმა ამ არაჩვეულებრივი ცხოვრების წყობილება, გაეცნო და დაუახლოვდა ამ შესანიშნავ ადამიანებს და თავისი ნაფიქრი და ნაგრძნობი ერთ რუსულ ჟურნალში გამოაქვეყნა. ისე დინჯად, ისეთი ღრმა, სერიოზული დაკვირვებით იყო ეს გამოკვლევა დაწერილი, რომ რუსეთის უდიდესი მწერლის ლევ ტოლსტოის ყურადღება მიიპყრო. როცა მოსკოვში ლევ ტოლსტოი გავიცანი, მკითხა, ხომ არ იცნობთ თქვენ თანამემამულეს მწერალს არჩილ ჯორჯესო. მე კარგად ვიცნობდი არჩილს და უამბე ტოლსტოის მისი თავგადასავალი. დიდის ყურადღებით მოისმინა დიდებულმა მწერალმა ამბავი ზენი ძვირფასი არჩილის ცხოვრების შესახებ და მითხრა, ამ ახალგაზრდას ცხოვრების ღრმა დაკვირვების ნიჭი ატყვიავო.

ინგლისიდან არჩილი გაემგზავრა საფრანგეთში, სადაც დედა-ქალაქ პარიზში განსვენებული გიორგი დეკანოზიშვილ



თან ერთად შეუდგა ქართულ-ფრანგული ჟურნალის „საქართველოს“ გამოცემას. ბევრი გაჭირვება გამოიარა არჩილმა ამ თავის მეგობართან ერთად, რომელიც მასავით თავის სამშობლოს ბედნიერებისათვის ერთგული, თავგანწირული მოღვაწე იყო. არჩილის უდიდესი წადილი იყო—სამშობლოში ისეთი ფიქრების და გრძნობების გაღვიძება, რომლებიც ჩვენ ხალხს სამოქმედოდ წაახალისებდა და ბედნიერ წყობილებას დაუმკვიდრებდა.

უსახსრობა, სიღარიბე, შიმშილ-წყურვილი ბოლოს-და-ბოლოს სამწუხაროდ დაეტყო არჩილის ჯანმრთელობას. საზარელი სენი, ქლექი, აღმოაჩნდა და იგი ძალ-ღონის შესაყრებლად სამშობლოში დაბრუნდა. აქ, საქართველოში, იგი ჩვეულებრივი მხნეობით შეუდგა მუშაობას: სწერდა წერილებს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში სხვა-და-სხვა საყურადღებო საკითხების შესახებ, ეწეოდა საზოგადო მოღვაწეობას და ამ დროს საზარელი სენი იმის, სხეულს თან-და-თან ეუფლებოდა. ბოლოს და ბოლოს ქლექმა იმ მდგომარეობაში ჩააგდო, რომ ის თავის ოთახსა და ლოგინსა ვეღარ სტოვებდა. წიგნი, კალამი და ქალაღდი მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ. იმას ღრმად სწამდა, რომ რაც უნდა დაჩაგრული იყოს ადამიანი სხეულით, არ უნდა დაეცეს სულით და სანამ მის გულში სიკოცხლის ძარღვი ჰფეთქს, უნდა ახსოვდეს, რომ ადამიანის სიკოცხლეს უდიდესი დანიშნულება აქვს: დაჩაგრულ ხალხზე ფიქრი და მის ბედნიერებისათვის მხნე, დაუღალავი მოღვაწეობა.

საუკუნოდ მოგვშორდა არჩილი, მაგრამ მისგან დატოვებული წმინდა ანდერძი ღრმად ჩაგვეთესა გულში. ჩვენ მას ვერ დავივიწყებთ. ცხოვრების მძიმე წუთებში, როდესაც ჩვენ სულს სისუსტე ეუფლება, თვალ-წინ ცოცხლად წარმოგვიდგება სასიკვდილო სნეულებით შეპყრობილი ლოგინში მწოლარე ახალგაზრდა კაცი, კალმით ხელში, ხალხის მიმართ უმ-



რეტი სიყვარულის გამომატველი, — წარმოვეიდგება, შეგვარ-
 ცხვენს, გაგვამხნეებს და სამოქმედოდ წაგვახალისებს. სიყვარულის საუკუნო ძლიერება იმაში გამოიხატება, რომ მას სი-
 კვდილიც ვერ ჰკლავს და იგი უცხალ, აღამიანის მშობრავ-
 ძალად რჩება ამ წუთი სოფელში.

ილია ნაკაშიძე,





ტროადის ომი.

ტროადელების უკუქცეული რაზმები ილიონის ზღუდეებისაკენ მიისწრაფვიან.

ქ
 ლლინთა მხედრობის გმირთა გმირი აქილევსი ქსანთოსის კალაპოტში ბრძოლის შემდეგ დაუყოვნებლივ გაიწაფა სწორეთ იმ ადგილას, საცა ელლინთა სხვა რაზმები მოსისხლე მტერს გმირულად უმკლავდებოდნენ. აქილევსის დანახვაზე მეომრები ერთი ორად აღფრთოვანდნენ და უფრო მეტის მამაკობით იერიში იერიშზე მიიტანეს მტრის წინააღმდეგ. მრისხანე გმირთა გმირი, პელეასის ვაჟის შვილი ელვის სისწრაფით თავს ეგლებოდა ტროადელების რაზმებს და სიკოცხლეს ასალმებდა სამშობლოსათვის თავდადებულ ილიონის მეომრებს. ტროადელების რაზმების მდგომარეობა თანდათან საშიში ხდებოდა და ამიტომ თან-და-თან ბრძოლის ველს სტოვებდნენ და ილიონის ზღუდეებისაკენ მიისწრაფოდნენ.

ტროადის მეფე პრიამოსი ამ დროს ქალაქის მიუვალ და მაღალ ზღუდეებიდან დასცქეროდა ბრძოლის ველს და მწუხარებისაგან თვალეები ცრემლეებით ევსებოდა. მეფემ, დაინახა თუ არა უკუქცეული ტროადელთა მხედრობა, მყისვე უბრძანა



ქალაქის ალაყაფის კარების მცველებს: „მცველებო! ნებლოც გააღეთ ალაყაფის კარები და, სანამ უკუქცეული ჩვენი მხედრობა ქალაქში არ შემოვა, კარები ღია დასტოვეთ! როცა ჩვენი მხედრობა ილიონის მაგარსა და მიუვალ ზღუდეებს თავს შეაფარებს, დაუყოვნებლივ კარები დაკეტეთ და ამრიგათ სახარელ აქილევსს ქალაქში შემოსვლის საშუალება მოუსპოთ.“

მცველებმა დაუყოვნებლივ შეასრულეს მოხუცი პრიამოსის ბრძანება. ტროადელების უკუქცეული რაზმები შეიჭრნენ ალაყაფის კარებში და ამნაირად დროზედ თავი დააღწიეს ერთნაირად განადგურებას. მზისა დარი აქილევსი მოსისხლე მტერს კვალ-და-კვალ მისდევდა და დიდებული ილიონის ზღუდეები შეიმუსრებოდა სამუდამოდ, მოხუცი პრიამოსის დედა ქალაქს მოსისხლე მტერი სამუდამოდ მიწასთან გაასწორებდა, აპოლონ ღმერთი რომ არ მიშველებოდა ტროადელებს და მათთვის დროზე დახმარება არ აღმოეჩინა.

აპოლონ ღმერთმა, შენიშნა თუ არა, რომ აქილევსი ტროადელებთან ერთად ქალაქის ალაყაფის კარებში დაუბრკოლებლივ შეიჭრებოდა, ანტენორის დიდებული ვაჟი შეაგულიანა აქილევსს შებრძოლებოდა და ამრიგად ელლინთა გმირთა გმირი ბრძოლის ველზე შეეჩერებინა, სანამ მცველები ქალაქის კარებს დაკეტავდნენ.

აპოლონ ღმერთისაგან გამხნეებულმა აგენორმა, როცა მის ახლოდ მოძავალი აქილევს დინახა, გაბედულად შესძახა: „თავხედო! განა შენ იმედი გაქ ს პრიამოსის დედა ქალაქი მიწასთან გაასწორო,? განა მართლა იმედოვნებ, რომ დღესვე სიკოცბლეს მოუსპობ ტროადელები? მაშაც მეომრებს და ამნაირად სამუდამოდ მოსპობ ტროადელების ხსენებას? არა და არა! ეს ყოველად შეუძლებელია! ქალაქში ჯერ კიდევ მრავალი სამშობლოსათვის თავდადებული მეომარი მოიძებნება, რომლებიც თავის ცოლ-შვილს და შვილის შვილებს,



თავის დედ-მამას, თავის სამშობლო კერას მტრის გულში გახდის, მოსისხლე მტერს არ გააბარებს!“

აგენორმა ამ სიტყვებთან ერთად მოიმარჯვა მძლავრი ისარი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრად სტყორცნა ელლინთა გმირთა გმირს აქილევეს. მძლავრად ნატყორცნი ისარი აქილევეს მოხვდა მუხლში, მაგრამ გმირს ვერა დააკლო რა და უკანვე დაბრუნებული იქვე მიწაში მაგრად ჩაერქო. აქილევესმა ახლა თავის მხრით მოიმარჯვა ბასრი ისარი და ის იყო უნდა ეტყორცნა აგენორისათვის, მაგრამ აპოლონონ ღმერთმა ნისლით შებურა ანტენორის დიდებული და ძღვევა-მოსილი ვატი და ბრძოლის ველს უვნებლად მოაშორა. აპოლონონი თვითონ მიიღო აგენორის სახე, აქილევეს ზურგი ღონ აქცია და ბრძოლის ველიდან მოჰკურცხლა. ელინთა მზისა დარი გმირი კვალ-და კვალ დაედგნა უკუქცეულ აგენორს და ფიქრადაკი არ მოსდიოდა, რომ სდევნიდა თვით აპოლონ ღმერთს და არა თავის მოსისხლე მტერს აგენორს. უკუქცეულმა აგენორმა ქსანთოსის ნაპირებისაკენ მიაშურა და ელლინთა განრისხებული გმირიც აიდგნა.

ტროადელების რაზმებმა ისარგებლეს ამ მოხერხებულ შემთხვევით და ყველანი უვნებლად შევიდნენ ქალაქში, რის შემდეგაც მცველებმა მაგრად ჩაკეტეს ილიონის ზღუდეთა ბჭის კარები.

მდინარე ქსანთოსის ნაპირს რომ მიუახლოვდა აპოლონონ ღმერთი, რომელიც ჯერ კიდევ აგენორის სახით ეჩვენებოდა აქილევეს, მოუბრუნდა და უთხრა ელლინთა გმირს: „მომაკვდავო, რატომ სდენი უკვდავს ასე გაცხარებით? ნუ თუ აქამდის ვერ მიცანი, რომ ღმერთი ვარ? შენს აქუთავბოლოდ ხეტიალში ტროადელების რაზმებმა უკვე ქალაქში შესვლა მოასწრეს და ალაყაფის კარებიც მაგრად ჩაკეტეს! ტყუილად თავს ნუ იწუხებ, დიდებულიო აქილევეს! შენი ბასრი ისარი უკვდავ ღმერთს ვერას დააკლებს!“

მწუხარებით აღესილმა ელიონთა მხედ⁴ ობის გმირმა
 გმირმა ესე უპასუხა აპოლონ ღმერთს: „ყოვლად შემძლე-
 ბელო, გამანადგურებელო ღმერთო! შემაკდინე და ამნაირად
 ტროადელების რაზმებს თავიდან ააცილე უემკველი განადგუ-
 რება. შენ რომ ასე არ შეგეტყუებინე, ახლა, პრიამოსის დე-
 და ქალაქში ვიქნებოდი ჩემი ძღვევა-მოსილი მხედრობით და
 ილიონის მაღალ ზღუდეებს ელვის სისწრაფით მიწასთან გავა-
 სწორებდი! ვაგლახ მე, რომ ასე მოვყუვედი! რომ შეძლება
 მქონდეს, სამაგიეროს უთუოდ გადაგიხდიდი! მაგრამ, საუბე-
 დუროდ, მომაკვდავი უკვდავ ღმერთების წინაშე ყოველთვის
 უძლურია და კედევაც ამიტომ ხელიდან გამოშტაცე მოსისხლე
 მტერზე გამარჯვევის დროშა!“

ა. მიქაბერიძე.





რ ე ბ უ ს ი.

(წარმოდგენილ იქნა გოგონას-მეგობარს.)

სკოლაში
რა უნდათ
ბავშვებს?



ღამით
რა
მეფობს?

ს



„

ცხოვრებაში



ნ
ი

ამ რეზუსის
პირველი
სიტყვა.


9

მ
3



კომში
ანუ?

ს



გაგლესოთ, ძმებო, ნამკალი.


(ხალხური კილი)

შედგენილი ზაქ. ფალიაშვილის მიერ.



Andante sostenuto

Canto



Andante sostenuto.

I II

Piano





საქართველოს
ხალხური მუსიკის
სამეცნიერო ცენტრი

Tranquillo et Tempo rubato.

pp 1) გავ - ლე - სით, ძვე -
2) ჯერ პო - ვემ და -

Tranquillo et Tempo rubato.

pp

ბო, ნამ - გა - - - - - ლი,
ვა - ვე - ვე - - - - - ნით,

ten.

ten.

Tempo I.

გავ - ლე - სით, ძვე - ბო, ნამ
ჯერ პო - ვემ და - ვა - ვე

Tempo I.



გა - ლი, პე - რი შეგვ - ენი
 გუ - ნით და მერ - მე ჰა

1, 2, 3, 4, 5.
 რი ხამ კა - ლი დე - ლა ჰილი
 ჰა რა - ლი დე - ლა რაი

1, 2, 3, 4, 5,
 დასამოავრებლად.

ჰილი

crese.

- 3) ვერა ზედავთ ჩვენს მეთაურს,
როგორა ზტის, გული უზურს; დელა ჰო!
- 4) რა სიამით და სიზარბით
შეპყურებს დამწიფებულს პურს? დელა ჰო!
- 5) მეთაურო დაგვაცალე,
ჯერ ეს ყანწი გამოცალე, დელა ჰო!
- 6) შერმე გნახავთ, რაც ბიჭი ზარ,
ნამგალი დაატრიალე; დელა ჰო!

და სხვა (იხ. რატ. ერისთავის ლექსი „სიმღერა მკის დროს.“)


Maestoso.

Canto

I II **Maestoso**


Piano

Ped. Ped.



Ped - Ped - Ped

meno



1) გლე - ხავ და გლე - ხავ ნამ - გა - ლო,
 2) ქა - ხე - რის სავ - ლე - ხა - ვა - თა

Ped - Ped

1. 2. 3. 4.

ნამ - გა - ლო ხე - მთა რქო - ნა.



Piu mosso

დახამთავრებლად.

რკი - ნა!

Ped - Ped -

- 3) გავლესავ და შიგაყუდებ ნამგალო ზემო რკინა.
- 4) გასტურ და გასტურ ყანები, ნამგალო ზემო რკინა,
- 5) გასტურ და გამიძებ წინა, ნამგალო ზემო რკინა!

